პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 8 ივნისიდან

№ 92 (18934) პარასკევი, 20 აპრილი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

გულითადი მადლობა

[illegible]

ჯ. უ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სემინარ-ლექტორიუმის მორიგი მეცადინეობა

პარტიული მუშაობის გამოცდილების გაზიარება

პირველი კვარტალი: შედეგები, ტენდენციები, პერსპექტივები

ეკონომია ეკონომიკის რეზერვია

მეურნეობრიობის ხარისხი მაჩვენებელი

გამოცდილების დროის მოთხოვნაა

საქართველოს მრეწველობა აღმავლობის გზაზე

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის მიერ 1984 წლის იანვარ-მარტში ძირითადი მაჩვენებლების მიღწევის გეგმის შესრულების შესახებ

რესპუბლიკები, ქალაქები, რაიონები	პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების პროცენტი	სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების პროცენტი	1984 წლის იანვარ-მარტი პროცენტობით 1983 წლის იანვარ-მარტთან შედარებით: წარმოების მოცულობის მიხედვით	შრომის ნაყოფიერების მიხედვით	უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წილი საერთო მოცულობაში	პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით
სულ რესპუბლიკაში	102,2	103,1	107,4	106,1	15,8	97,6
აფხაზეთის ასსრ	102,7	104,2	112,4	110,8	5,4	99,6
აჭარის ასსრ	103,3	102,6	101,8	101,8	27,1	96,5
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	103,0	105,0	107,1	106,2	18,7	99,2
ქალაქები:						
თბილისი	101,6	102,0	105,1	105,0	17,7	99,4
ქუთაისი	101,8	102,3	103,3	102,1	35,5	99,5
ფოთი	115,0	112,7	114,4	112,4	8,0	99,5
ჭიათურა	101,3	104,0	101,7	101,1	42,3	98,8
რუსთავი	99,9	100,0	100,4	100,0	22,9	88,7
გორი	100,7	103,3	92,3	93,4	24,8	95,5
ტყიბული	106,3	108,4	100,2	101,4	11,0	98,2
ზუგდიდი	102,0	103,4	107,7	107,5	5,3	98,7
წყალტუბო	103,8	108,6	102,8	100,4	11,6	98,9
მარნეული	102,4	104,6	131,1	118,6	4,8	99,7
რაიონები:						
აბაშის	100,2	106,4	108,8	109,2	0,6	85,4
ადიგენის	101,7	108,1	47,7	54,2	—	94,6
ამბროლაურის	103,5	107,3	108,8	107,4	1,9	98,0
ასპინძის	101,6	110,8	142,1	145,9	—	50,8
ახალქალაქის	108,1	102,0	106,5	104,8	2,4	82,8
ახალციხის	108,6	113,7	93,9	95,4	—	91,7
ახმეტის	104,5	102,9	123,2	129,6	3,9	99,7
ბოგდანოვკის	109,5	112,0	108,4	107,3	1,8	100,0
ბოლნისის	101,7	104,5	103,0	101,3	2,4	97,8
ბორჯომის	100,3	103,1	97,4	96,1	5,0	95,8
ვანის	103,9	102,6	124,8	127,0	—	97,1
გარდაბნის	104,5	102,1	121,8	121,2	0,5	98,7
გეგეჭკორის	98,3	110,4	108,3	104,1	1,0	95,3
გორის	106,5	109,5	121,4	119,5	1,7	98,8
გურჯაანის	102,2	104,5	98,5	100,6	0,2	95,9
დმანისის	114,4	101,4	114,3	114,0	—	100,0
დუშეთის	106,1	115,7	117,1	113,2	19,0	85,3
ზესტაფონის	106,7	103,1	111,5	111,6	37,4	99,6
ზუგდიდის	106,0	100,9	129,7	125,1	—	100,0
ყაზბეგის	108,5	107,3	110,8	110,8	—	100,0
ქარელის	103,6	105,6	138,1	129,2	—	99,1
კასპის	103,2	105,1	100,9	98,9	22,0	94,9
ყვარლის	96,5	103,8	126,4	124,0	—	46,8
ლაგოდეხის	104,7	102,4	96,5	98,5	0,4	88,8
ლანჩხუთის	80,6	106,4	110,7	103,6	1,2	95,2
ლენტეხის	173,3	191,7	93,5	59,1	10,9	100,0
მარნეულის	99,2	100,5	57,3	58,2	2,9	97,8
მახარაძის	104,9	106,8	111,2	107,2	5,0	95,7
მაიაკოვსკის	100,1	102,6	119,8	116,8	3,5	87,8
მესტიის	103,1	102,7	104,0	145,7	15,0	76,0
მცხეთის	107,0	104,2	106,0	103,1	5,9	96,3
ონის	100,9	102,8	116,9	114,8	41,1	84,0
ორჯონიკიძის	102,4	109,5	123,9	125,9	17,1	96,0
საგარეჯოს	104,3	106,9	104,6	102,6	2,2	63,3
სამტრედიის	103,4	105,3	111,9	109,8	4,9	96,9
საჩხერის	104,6	107,9	162,4	92,9	0,1	100,0
სიღნაღის	104,6	103,8	79,8	90,1	11,1	99,0
თელავის	102,1	102,9	104,3	103,6	6,7	99,4
თერჯოლის	103,4	101,9	160,1	147,0	1,2	98,0
თეთრი წყაროს	94,7	107,8	118,8	107,7	0,1	97,1
თიანეთის	104,6	101,6	102,7	100,2	—	100,0
ხაშურის	103,7	103,1	96,1	95,7	24,6	91,5
ხობის	114,4	116,1	68,4	65,0	—	100,0
ცაგერის	102,8	103,5	109,5	105,2	5,2	100,0
წალენჯიხის	116,5	112,6	152,9	145,1	0,1	99,0
წალკის	126,1	103,4	226,7	224,9	—	100,0
წითელწყაროს	114,4	105,7	172,5	166,1	—	100,0
წულუკიძის	105,0	103,1	99,0	100,1	0,4	98,0
ცხაკაიას	104,6	102,8	95,5	89,8	1,1	87,5
ჩოხატაურის	102,9	107,7	129,9	125,9	1,7	95,3
ჩხოროწყუს	109,8	111,5	111,6	111,5	—	99,9

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1984 წლის პირველი კვარტალის ...

ღვინო სასურსათო პროგრამის განხორციელების რეზერვია

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტში

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 62 წლისაა

მომავლისათვის შემართებული

... უცხო კაცის გამოჩენა, მით უმეტეს იმ დროისათვის ყველასათვის უჩვეულო ავტომანქანაზე, იმწუთვე გააღვიძებდა მისდამი ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით მთის სოფელში. მეც ავდექი და ცხინვალში ცხენი ვიყიდე... მთელ თვეს ცხენით ვმოგზაურობდი... სამხრეთ ოსეთიდან როკის უღელტეხილით — ჩრდილოეთ ოსეთში, იქიდან მამისონის უღელტეხილით — საქართველოში, შემდეგ კი კვლავ სამხრეთ ოსეთში...

ასე იხსენებს თავის პირველ სარედაქციო დავალებას ჩვენის უხუცესი ჟურნალისტი ნიკოლოზ სტორი. მისი მოგონებების სტრიქონები აქ ტყუილად როდი მოვიყვანე. დღეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში პრაქტიკულად არ არის სოფელი, სადაც მანქანა ვერ გაივლის. ხოლო ტრანსკავკასიის მშენებარე ავტომაგისტრალზე ოლქის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მთის სოფელში უკვე გაყვანილია ავტობუსის მარშრუტი. სხვათა შორის, აქაური საბჭოთა მეურნეობა თავისი არსებობის მრავალი წლის მანძილზე პირველად გახდა რენტაბელური, გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო დავალებანი თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ჯავის რაიონიდან, რომელზეც ავტომაგისტრალი გადის, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არც ერთი ოჯახი არ აყრილა. უფრო მეტიც, უკვე ცხრა ოჯახი დაუბრუნდა წინაპართა მიწა-წყალს. ზოგნი სახლდებიან ოდესღაც მიტოვებულ კერებში, უმრავლესობა კი სახელმწიფოს დახმარებით იშენებს სახლებს ნაფუძარზე. ამ გზის მეოხებით რაიონში გაჩნდა ოცზე მეტი ახალი პროფესია, რომლებიც ჯაველებს მშენებლობის დამთავრების შემდეგაც გამოადგებათ.

მაგრამ არც ეს გზებია მთავარი იმ მიღწევებში, რომლებითაც თავისი შექმნის 62 წლისთავს ეგებება სამხრეთ ოსეთი. უდიდესი გარდაქმნები მოხდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ცნობილი დადგენილებანი ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შესახებ, რომლებმაც დასაბამი მისცა მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალ ეტაპს. მოვიყვან ასეთ ფაქტებს. ოლქის საწარმოთა მიერ 1981 წელს გამოშვებული მრეწველობის პროდუქციის მოცულობა ათასჯერ მეტია, ვიდრე მისი შექმნის პირველ წლებში იყო გამოშვებული. ხოლო 1972 წელთან შედარებით დღეს ოლქში გამოდის ორჯერ და უფრო მეტი პროდუქცია ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ამავე პერიოდში მისი გამოშვება გაიზარდა 2,4-ჯერ, შრომის ნაყოფიერება — ერთნახევარჯერ. მეათე ხუთწლედის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა იმდენივე საცხოვრებელი ფართობი, რამდენიც წინა სამ ხუთწლედში, ხოლო ამ ხუთწლედში ამოქმედდება იმდენი, რამდენიც მეცხრე და მეათე ხუთწლედებში — ერთად. გათვალისწინებულია აშენდეს ახალი საწარმოები. ამასთან, ყოველ მათგანში კაპიტალური დაბანდების მოცულობა აღემატება თანხას, რომელიც მთელმა ოლქმა დახარჯა გასულ წელს.

ფ. ს. სანაკოევი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

სამხრეთ ოსეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი წილი უკავია სოფლის მეურნეობას. ამ ბოლო წლების მანძილზე სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გზაზე დიდი ნაბიჯი გადაიდგა. თვისებრივად განახლდა დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ძირითადი საწარმოო ფონდები — კოლმეურნეობრივი და საბჭოთამეურნეობრივი წარმოების აღმავლობის უმნიშვნელოვანესი რგოლი — 1975 წლის 37 მილიონი მანეთიდან 1982 წელს გაიზარდა 50 მილიონამდე, ანუ 33 პროცენტით და მეტად. შეიცვალა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო შრომის ხასიათი და შინაარსი. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აქ ენერგოაღჭურვილობა გადიდდა მეოთხედით, ხოლო ელექტროაღჭურვილობა — დაახლოებით ერთ-ნახევარჯერ. ეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარების, სოფლის მეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლების მტკიცე საფუძველია.

წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ბაზაზე მეტ წილ მეურნეობებში შესაძლებელი გახდა ინდუსტრიული ტექნოლოგიების დანერგვა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ჩვენი სოფლის მეურნეობის მაგისტრალურ მიმართულებებს — მეცხოველეობასა და მებაღეობას. 1972 წლიდან ხორცის დამზადება გაიზარდა ერთ-ნახევარჯერ, რძისა — 1,8-ჯერ, მარცვლეულისა — გადიდდა 65 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 45 პროცენტით, ხილისა — 3,5-ჯერ, კვერცხისა — ათჯერ. ეს მაჩვენებლები ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელ ჩვენს ქვეყანაშიც.

ავტონომიური ოლქის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მოწმობს საქონელბრუნვის მოცულობა, რომელიც 1972 წელთან შედარებით ერთიორად გადიდდა, აგრეთვე მშრომელთა ანაბრები შემნახველ სალაროში, რომლებიც 26 მილიონი მანეთიდან 50 მილიონამდე გაიზარდა. სხვათა შორის, ანაბრის საშუალო თანხა ოლქის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ერთ-ერთი ყველაზე დიდია ჩვენს ქვეყანაში.

ცნობილია, რომ რევოლუციამდელ სამხრეთ ოსეთში სულ რვა სკოლა მოქმედებდა. ამჟამად ოლქში არის 160 დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლა, სადაც სწავლობს 23 ათასზე მეტი ბავშვი, ანუ მთელი მოსახლეობის მეოთხედი. მუშაობს ათობით სკოლამდელთა დაწესებულება. ხუთი ათწლეულის მანძილზე სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა მოამზადა ათი ათასზე მეტი კვალიფიციური სპეციალისტ-პედაგოგი. გაიხსნა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზრუნვას რესპუბლიკის ავტონომიურ ფორმირებათა ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ამ თვალსაზრისით უდიდესი მიღწევებია მოპოვებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დარგში, რომელთა წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო რევოლუციამდელ ხანაში. ერთი კერძო აფთიაქი და „სამკურნალო" ცხინვალში — აი, ასეთი იყო მთელი, ასე ვთქვათ, სამედიცინო პრაქტიკა. დღეს სამხრეთ ოსეთში არის 19 საავადმყოფო 1.400-ზე მეტი საწოლით, 12 ამბულატორია, 46 სამეანო-საფერშლო პუნქტი და ა. შ. აქ მუშაობს 350-ზე მეტი ექიმი, საშუალო სამედიცინო პერსონალის 1.100 მუშაკი. ექიმების რიცხვით, სამკურნალო დაწესებულებათა საწოლი ადგილების რაოდენობით, ისევე როგორც უმაღლესი და არასრული უმაღლესი განათლების ადამიანთა რიცხვით ყოველ ათი ათას სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ჩვენს ოლქს ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უკავია ქვეყანაში.

და კიდევ ერთი რამ. ამჟამად აქ მუშაობს 80-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. მეცნიერ მუშაკთა ადგილობრივი კადრებით არის დაკომპლექტებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი, რომელიც აქტიურ მეცნიერულ მუშაობას ეწევა ეკონომიკის, კულტურის, ისტორიის, ენისა და ლიტერატურის პრობლემათა შესწავლა-გადაწყვეტის დარგში. [illegible] განვითარდა ჩვენი [illegible] რომლის კერებს [illegible] დრამის თეატრი, [illegible] დარბაზი, 163 [illegible] ბიბლიოთეკა, 89 საკლუბო დაწესებულება. [illegible] სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო [illegible] ლექტივების სახელი.

სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში მიღწეული წარმატებანი წლითიწლობით სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ვამრავლოთ მიღწევები, უზრუნველვყოთ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა უცილობელი შესრულება, ხორცი შევასხათ დასკვნებსა და დებულებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში, — აი, რას ისახავენ მთავარ ამოცანად სამხრეთ ოსეთის კომუნისტები, რომლებიც კომუნისტური აღმშენებლობის ახალი მიჯნების მისაღწევად რაზმავენ ავტონომიური ოლქის მშრომელებს. (საქინფორმი).

შაბათობა გვიხმობს

კეთილი წამოწყებანი ტრადიციად უნდა იქცეს

ბევრი კეთილი თაოსნობის ინიციატორის რეპუტაცია კვლავ დაადასტურა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივმა. მან ვალდებულება აიღო ლენინური კომუნისტური შაბათობის დღეს მნიშვნელოვნად გადააჭარბოს წინა „წითელი შაბათობების" მაჩვენებლებს და ეს განწყობა მუდმივი გახადოს.

— განა მარტო ეს ნიშანი ახასიათებს შაბათობას? — ამ კითხვით მივმართეთ საქინფორმის კორესპონდენტმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრს, საწარმოს ხარატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, შაბათობის მოსამზადებელი საქარხნო შტაბის წევრს **ტ. ვ. როსტიაშვილს.**

— სრულიადაც არა. შრომის დღესასწაულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება გახდება ის, რომ შაბათობა ამჯერად შორს გასცდება საწარმოს ჭიშკარს, უფრო მკაფიოდ გამოვლინდება მისი არა მარტო ეკონომიკური, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ-პოლიტიკური მიმართულება.

ქარხნის კომუნისტებმა მიიღეს გადაწყვეტილება: 21 აპრილს ჩვენი სამეურნეო სამსახურების ძალებით უსასყიდლოდ შეასრულონ რემონტი წარმოების იმ ვეტერანთა სახლებში, რომლებსაც განსაკუთრებით ესაჭიროებათ ეს. გარდა ამისა, პენსიონერ ავიამშენებელთა წინასწარი განაცხადებით მათ შინ მიუტანენ საჭირო საქონელს.

გადავწყვიტეთ ეს წამოწყება ტრადიციად დავამკვიდროთ. და აქ საქმე იმდენად ის კი არ არის, რომ ადამიანს, ვთქვათ, ბინაში შევუკეთოთ ფანჯარა, რამდენადაც ის არის, რომ ადამიანები, რომლებმაც თავიანთი შრომითი წლები, გამოცდილება და ოსტატობა მიახმარეს მშობლიურ საწარმოს, გრძნობდნენ, რომ მათ არ ივიწყებენ, მათთვის ზრუნავენ. ამ წამოწყების განხორციელებისათვის დიდი შრომა გასწიეს პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა და საწარმოს ვეტერანთა საბჭომ.

ქარხანაში კეთილი ტრადიციების მემკვიდრეობითობა ჩვენი კომუნისტების, კადრის მუშების ინიციატივიანობის შედეგია. შემიძლია დავასახელო ბევრი მათგანი. ესენი არიან: ბრიგადირები ვახტანგ კუბლაშვილი, გაბრიელ სუხინი, მითა ლობიშვილი, მარლენ კობალაძე, ვიქტორ რაკოვენკო და სხვანი, რომლებიც არა მარტო მთელ ძალ-ღონეს ახმარენ საქმეს, არამედ ზრდიან მუშათა ღირსეულ ცვლას, დიდ პატივს სცემენ წინამორბედ ვეტერანთა მუშურ ნიჭს და თავდადებას.

— პატივცემულო ტრიფონ, როგორი განწყობილებით ემზადება შაბათობისათვის ქარხნის კოლექტივი?

— საბრძოლო განწყობილებით. ბრიგადების, უბნების, საამქროების საერთო კრებებზე გადავწყვიტეთ 21 აპრილს ყოველ სამუშაო ადგილას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გავანაღდოთ ცვლის დავალება. მუშებმა წამოაყენეს წინადადება შაბათობის დღეს მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება, რომლის შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება შრომის ეფექტიანობა და პროდუქციის ხარისხი, მისი თვითღირებულების შემცირება, ამ დღეს გამოყენებული დაზოგილი ხელსაწყოებისა და მასალების, საწვავისა და ელექტროენერგიის ხვედრითი წილი.

ბევრი რამ გაკეთდა შაბათობის დღეს მუშაობის იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვისაც. ჩვეულებრივ „ელვა-ფურცლების" გარდა, რომლებშიც მოვუთხრობთ ცალკეული მუშებისა და ბრიგადების საწარმოო გამარჯვებებზე, ოპერატიულად მოვამზადებთ ფოტოსტენდებს. აქ გამოიკვრება იმათი პორტრეტები, ვინც 21 აპრილს ყველაზე მეტად ისახელებს თავს.

სიხარულით ვიგონებ სიტყვებს, რომლებიც სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. უ. ჩერნენკომ, რომ ამ ბოლო დროს შესამჩნევად გაიზარდა მასების შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობა. ეს იმ მუშაობის უშუალო შედეგია, ხაზგასმით აღნიშნა კონსტანტინე უსტინის ძემ, რომელიც ეკონომიკისა და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დარგში გავშალეთ. ამის მაგალითია ჩვენი ქარხნის შეკავშირებული, ინიციატივიანი კოლექტივი.

— როგორი მაჩვენებლებით აპირებენ შაბათობის დამთავრებას ავიამშენებლები?

— მთავარ ყურადღებას დავუთმობთ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას. გამოვუშვებთ 15 ათასი მანეთის ასეთ საქონელს. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე წინათ.

წესრიგი ყველგან და ყველაფერში

საზოგადოებრივი რაზმელი

მილიციას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში დიდ დახმარებას უწევენ რაზმელები, ოპერატიული კომკავშირული რაზმები. ფართოა მათი მოქმედების დიაპაზონი: ქალაქებისა და რაიცენტრების ქუჩების შემოვლა, მეფობა ძნელად აღსაზრდელ მოზარდებისადმი, დამნაშავეობის წინააღმდეგ, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა. მაგალითად, ზათუმის ერთ-ერთი რაზმეულის წევრებმა ნ. მამულაძემ და ე. ქორიძემ ქუჩების შემოვლის დროს დააკავეს განსაკუთრებით საშიში შეიარაღებული დამნაშავე. ახმეტაურის რაიონის სოფელ ზემო სურების რაზმელები შ. სანიკიძე და ვ. სიხარულიძე, დროზე ჩაერივნენ ქუჩის კონფლიქტში და ამით თავიდან აიცილეს არასასიამოვნო შედეგები. ათობით მათი კოლეგა-რაზმელს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შექმნის 25 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭათ ქვეყნის ჯილდოები, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები. ეს ითქვა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური შტაბის სხდომაზე.

სხდომაზე აღინიშნა, რომ საჭიროა ფართოდ გავრცელდეს ისეთი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობის გამოცდილება, როგორიც არის, მაგალითად, მცხეთისა. აქ რაზმელები სისტემატურად მორიგეობენ არა მარტო რაიონულ ცენტრში, არამედ მის მახლობელ და შორეულ სოფლებშიც.

მაგრამ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში — კასპის, ყაზბეგის, სიღნაღის, ლენტეხის, აბაშის, დუშეთის რაიონებში სოფლის რაზმეულები მხოლოდ ფორმალურად არსებობენ. ბოლნისის, წულუკიძის, გორის, საჩხერის, ბოგდანოვკისა და თერჯოლის, ამბროლაურის რაიონებში შარშან რაზმელებს არც ერთი დამნაშავე არ დაუკავებიათ და არც ერთი დანაშაული არ აღუკვეთიათ, იმის მიუხედავად, რომ იქ დანაშაულობანი მოხდა.

სხდომაზე დაისახა რესპუბლიკის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობის გააქტიურების ღონისძიებათა გეგმა. მიმდინარე წლის ივნისში გაიმართება ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების IV რესპუბლიკური შეკრება.

განზრახულია აგრეთვე უკეთ გამოიყენონ რაზმელ საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა რაზმები. ეს ხელს შეუწყობს გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

რესპუბლიკური შტაბის სხდომას ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია.

გარდამავალი დროშა—გამარჯვებულს

საქართველოს ავტოინსპექციამ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. გასული წლის შედეგებით რესპუბლიკის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციამ საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა საგზაო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლაში: შესამჩნევად შემცირდა უბედური შემთხვევების რიცხვი, ავტოინსპექტორები უფრო აქტიურად ავლენენ საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლებს. რეგულარული გახდა მანქანების ტექნიკური დათვალიერება, შემოწმებანი ავტოსაწარმოებში.

ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციისათვის სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას. ჯილდო გადასცა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მთავარი სამმართველოს უფროსმა, გენერალ-მაიორმა ლ. ვ. ზვერკოვსკიმ.

კრებას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. რ. საჯაია, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი გ. ი. გვეტაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ი. გ. ზაზარაძე.

შეხვედრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

19 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი ფინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მინისტრი მატი ლუტინენი. ამხ. ჩერქეზია გულთბილად მიესალმა სტუმრებს და გააცნო ქართველი ხალხის ისტორია და კულტურა, საბჭოთა საქართველოს მიღწევები ეკონომიკაში, კულტურაში, მეცნიერებასა და განათლებაში. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში წარმატებით ვითარდება უშუალო კონტაქტები საქართველოსა და ფინეთს შორის.

სტუმართა სახელით მატი ლუტინენმა მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ ე ნ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ქ. ბ. ვოსტრიკოვი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ი. გვეტაძე, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ი. კაჭარავა.

• • •

ფინელი სტუმრები გაეცნენ თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს.

(საქინფორმი).

19 აპრილი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

საქდესის იუწყება

სოციალისტურ — ქვეყნებში —

● რუმინეთი

იზრდება სავაჭრო ფლოტი

ბუქარესტი. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მანძილზე რუმინეთის სავაჭრო ფლოტს შეემატა ახალი ხომალდები, რომელთა საერთო წყალწყვა შეადგენს 193 000 ტონას. წლის დამლევამდე ფლოტის ტვირთამწეობა უნდა გაიზარდოს დაახლოებით 590 000 ტონით და თითქმის ოთხი მილიონ ტონას მიაღწევს. დღეს რუმინეთის ფლოტს სხვადასხვა დანიშნულების 240-ზე მეტი თანამედროვე ხომალდი აქვს. რუმინეთის სხვა საზღვაო ტვირთზიდვის 98 პროცენტზე მეტი ხორციელდება ამჟამად რუმინეთის ხომალდებით, ხოლო მომავალ წელს ამ ამოცანას მთლიანად შეასრულებს რუმინეთის სავაჭრო ფლოტი.

● უნგრეთი

ახალი მეთოდის სიკეთე

ბუდაპეშტი. უნგრელი მეცნიერების მიერ შემუშავებული ახალი მეთოდების მეოხებით შესაძლებელია ღორქმის 20 პროცენტით შემცირდეს სოიის ფქვილის — მეცხოველეობისათვის საჭირო საკვების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის რაოდენობა. ვესპრემის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ გარკვეული მჟავებით დამუშავებულ სოიას გაცილებით უკეთ ითვისებს პირუტყვი. სიახლის გამოყენებისას, მჟავების გარდა სოიის საკვებში ამატებენ სუფრის მარილსა და კალციუმის ფოსფატს. ცილოვანი საკვების დამზადების ახალი მეთოდის გამოცდა რესპუბლიკაში წარმატებით დამთავრდა. მეცხოველეობის ფერმებსა და საკარმიდამო მეურნეობებში მათი გამოყენების გამოცდილებამ დამაჯერებლად დაადასტურა, რომ პირუტყვის საჭირო „მატება" მიიღწევა გაცილებით ნაკლები რაოდენობის საკვებით.

● ლაოსი

გადაეცა საექსპლოატაციოდ

ვიენტიანი. ახალი საამქრო საექსპლოატაციოდ გადაეცა ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სამშენებლო კომბინატში — ლაოსის სამშენებლო ინდუსტრიის მეთაურ საწარმოში. აქ დაამზადებენ ფოლადის არმატურას რკინაბეტონის კონსტრუქციებისათვის.

ვიენტიანის სამშენებლო კომბინატი საბჭოთა კავშირ-ლაოსის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთ-ერთი უდიდესი ობიექტია. საბჭოთა კავშირის სპეციალისტების დახმარებით აქ აშენდა რამდენიმე საამქრო. ლაოსელმა ინჟინრებმა და მუშებმა აითვისეს ბეტონის პანელების, ფილების, ხიმინჯების, ცემენტ-სილის ბლოკების წარმოების ტექნოლოგია.

კომბინატის პროდუქცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური გეგმების რეალიზაციაში. ამჟამად მას გზავნიან დედაქალაქის მთავარ მშენებლობებზე.

პირველი ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად ლაოსის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობა უპრეცედენტო ტემპით ვითარდება. ლაოსელი მშენებლები ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღის — ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ათი წლისთავისა და ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან.

● ლიბანი

ვითარება კვლავ გამწვავდა

ბეირუთი. ორი დღის შედარებითი სიმშვიდის შემდეგ კვლავ გამწვავდა ვითარება ლიბანის დედაქალაქსა და მის გარშემო. 17 აპრილს საღამოს და ღამით გააფთრებულმა ბრძოლებმა არტილერიის, ტანკების, რეაქტიული დანადგარებისა და სხვა იარაღის გამოყენებით მოიცვა პრაქტიკულად ყველა რაიონი, რომლებიც ბეირუთის აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებად გამყოფ ეგრეთ წოდებული „მწვანე ხაზის" ესაზღვრება და აგრეთვე მისი სამხრეთი გარეუბნები და ქვეყნის მთიანი რაიონები. მასობრივი სარაკეტო-საარტილერიო და ნაღმსატყორცნთა ცეცხლი დაუშინეს ქალაქის ბევრ საცხოვრებელ უბანს. ქალაქის მოსახლეობას შორის არიან დაზოცილები და დაჭრილები. მთავრობის ცდები შეეწყვიტა ცეცხლი, წარუმატებელი აღმოჩნდა. დაძაბულობის გამწვავების გამო კვლავ გაიყინა უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური კომიტეტის საქმიანობა, რომელიც შეიქმნა ლოზანის ეროვნული დაზავების კონფერენციის შესაბამისი გადაწყვეტილების თანახმად.

თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ, ლიბანის ყოფილმა პრეზიდენტმა ს. ფრანჟიემ განაცხადა ჩრდილოეთ ლიბანის ქალაქ ზღორტში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომ ვაშინგტონი და თელ-ავივი ხლართავენ ლიბანელი ხალხის წინააღმდეგ შეთქმულების ქსელს, რომლის მიზანია ქვეყნის ანკლავებად დაყოფა. მან აღნიშნა, რომ ლიბანში შიდაპოლიტიკური კრიზისის სამართლიანი მოწესრიგების ფორმულა შეიძლება შეიმუშაონ მხოლოდ იმ პირობით, თუ შეწყდება ქვეყანაში სიონისტი აგენტების ძირგამომთხრელი საქმიანობა.

ლიბანელი პატრიოტები განაგრძობენ ისრაელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას. გასულ დღეს მათ ორი ოპერაცია ჩაატარეს ქვეყნის სამხრეთით ტირის რაიონში, პარტიზანები თავს დაესხნენ ისრაელთა პატრულს, მოსპეს ჯარისკაცებიანი ჯავშანტრანსპორტიორი. იმავე დღეს საიდის მახლობლად პატრიოტებმა ცეცხლი დაუშინეს ინტერვენტთა მზვერავ რაზმს, მიაყენეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ზარალი.

● ნიკარაგუა

შტევენ კონტრრევოლუციონერებს

მანაგუა. როგორც ნიკარაგუის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, სანდინისტურმა შეიარაღებულმა ძალებმა წარმატებული ოპერაცია მოაწყვეს ქვეყნის სამხრეთში დიდი კონტრრევოლუციური დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ კოსტა-რიკის ტერიტორიიდან შემოგზავნა. ათი დღის მანძილზე 500-ზე მეტი ბანდიტი ცდილობდა ხელთ ეგდო ნიკარაგუის ტერიტორიის ნაწილი ატლანტიკის სანაპიროზე დასახლებული პუნქტის სან-ხუან-დელ-ნორტეს რაიონში. სან-ხუან დელ-ნორტეს დამცველებმა მამაცურად მოიგერიეს თავით ფეხებამდე შეიარაღებული დაქირავებულების იერიშები, რომლებსაც ზურგს უმაგრებდნენ ზღვიდან და ჰაერიდან. 17 აპრილს სანდინისტური სახალხო არმიის ნაწილებმა გადამწყვეტი დარტყმა მიაყენეს კონტრრევოლუციონერთა დაჯგუფებას და კოსტა-რიკის ტერიტორიისაკენ დაახევინეს მათ. ნიკარაგუელი მებრძოლები სასაზღვრო ზონას წმენდნენ ბანდის ნარჩენებისაგან.

რეიგანის ადმინისტრაციის მიერ გაბრაზებული აგრესიის გამო ნიკარაგუელი მუშები, გლეხები, სტუდენტები იარაღს იღებენ ხელში, რათა დაიცვან თავიანთი სიცოცხლის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლება, წერს გაზეთი „ბარიკადა" — ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ოფიციალური ორგანო. ამერიკის შეერთებული შტატები, ხაზს უსვამს გაზეთი, ცდილობს ჩაახშოს ნიკარაგუის რევოლუცია, რადგან იგი ბრძოლის გზას უსახავს სხვა ექსპლოატირებულ ხალხებს.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ბონი. ტრადიციულ საგაზაფხულო „მშვიდობის მარშებში", რომლებიც მოეწყობა ამ კვირის ბოლოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამერიკის პირველი დარტყმის რაკეტულ-ბირთვული საშუალებებისათვის ქვეყნის ტერიტორიის სასტარტო მოედნად გადაქცევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნით, მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით მილიონი მშვიდობის მომხრე. ეს განაცხადა „მშვიდობის მარშების" მომწყობმა ფედერალურმა საინფორმაციო ცენტრმა მაინის ფრანკფურტში.**

◆ **დელი. ინდოეთის საზოგადოებრიობა გულისწყრომით გმობს რეიგანის ადმინისტრაციის ცდას დააკანონოს მის მიერ პრაქტიკაში მიღებული სახელმწიფო ტერორიზმი, განაცხადა აქ სრულიად ინდოეთის მშვიდობისა და სოლიდარობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პრაკაშ პალიევალმა.**

თეთრი სახლის პატრონმა, თქვა მან, ხელი მოაწერა დირექტივას, რომელიც ითვალისწინებს შეერთებული შტატების მიერ შეიარაღებული აქციების განხორციელებას „საზღვარგარეთ ტერორისტებთან ბრძოლისათვის".

◆ **კარაკასი. „ვენესუელის მშვიდობის ფრონტმა", რომელიც აერთიანებს საქმიანი წრეების, შემოქმედებითი ინტელიგენციისა და სამღვდელოების დემოკრატიულად განწყობილ წარმომადგენლებს, მხარი დაუჭირა ნიკარაგუელი ხალხის იმ უფლებების დაცვას, რომ თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი. აქ გავრცელებულ განცხადებაში დაგმობილია შეერთებული შტატებისა და მისი დაქირავებულების ცდები ჩაფუშონ პროგრესული გარდაქმნების პროგრამა, რომელსაც ნიკარაგუაში ახორციელებს ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტი.**

ქვეყანაში სამოგზაუროდ

19 აპრილს მოსკოვიდან ქვეყანაში სამოგზაუროდ წავიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი ჯავშნის გენერალი ფ. სივიცკი. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში იმყოფება ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა დ. თ. უსტინოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქდესი)

მოლაპარაკება დამთავრდა

პეკინი. აქ დამთავრდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯ. ჰაუს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის უ. სიუეციანის სამი დღის მოლაპარაკება. პრესისათვის გადაცემულ ცნობაში აღნიშნულია, რომ „მოლაპარაკებამ ხელი შეუწყო პროგრესს ჰონკონგის საკითხზე შეთანხმების მიღწევის საქმეში".

ჯ. ჰაუ შეხვდა აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ჟაო ძიაანსა და ჩინეთის კომპარტიის მრჩეველთა ცენტრალური კომისიის თავმჯდომარეს დენ სიაოპინს. როგორც სინხუას სააგენტოს ცნობა მოწმობს, დენ სიაოპინი ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს დაჰპირდა, რომ კოლონიის არსებული საზოგადოებრივი წყობილება უცვლელად დარჩება 50 წლის მანძილზე.

ფოტოფაქტი

მანიფესტაცია კონგრესთან

ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობა გმობს ახლანდელი ადმინისტრაციის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, ცენტრალურ ამერიკაში შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნის ზრდას, თეთრი სახლის მიერ რეაქციული, რეპრესიული რეჟიმების მხარდაჭერას.

სურათზე: ვაშინგტონში კონგრესის შენობასთან გაიმართა მასობრივი საპროტესტო მანიფესტაცია ცენტრალურ ამერიკაში შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნის ზრდის წინააღმდეგ. მისმა მონაწილეებმა თან მოიტანეს პეტიცია თავიანთი ხელმოწერებით.

საქდესის ფოტო.

● აშშ

„ვაშინგტონის ინიციატივა"

ვაშინგტონი. რეიგანის ადმინისტრაციის ეგრეთ წოდებული „ინიციატივა" ქიმიური იარაღის აკრძალვის საკითხში მიზნად ისახავს ამ სფეროში ნებისმიერი შეთანხმების შეფერხებას წინასწარ მიუღებელი პირობების წამოყენების გზით, მომწამვლელი ნივთიერებების ისედაც გიგანტურ არსენალების ზრდის ვაშინგტონისეული გეგმების შენიღბვას.

ეს აშკარად ცხადყო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სამხედრო-პოლიტიკური ბიუროს დირექტორის მოადგილის დინის პრესკონფერენციამ, რომელიც აქ გაიმართა. მან ფაქტობრივად ულტიმატუმური ფორმით აღნიშნა, რომ ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ შეთანხმების მიღწევა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა დაკმაყოფილდება ამერიკის ყველა „წინასწარი პირობა", უწინარეს ყოვლისა „შეთანხმებათა შესრულების შემოწმებისა და ადგილზე ინსპექციის" სფეროში.

● ინდოეთი

შემოიღეს კომენდანტის საათი

დელი. ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ, პენჯაბის შტატის ადმინისტრაციულ ცენტრში — ჩანდიგარში კომენდანტის საათი შემოიღეს. ამ ქალაქის ხელისუფლებმა, რომელიც ამავე დროს ინდოეთის საკავშირეო ტერიტორიაა, გამოაცხადეს, რომ 20 აპრილიდან დაიხურება ყველა სასწავლებელი. ასეთ ღონისძიებებს მიმართეს ბოლო დღეებში გახშირებული სეპარატისტთა პროვოკაციული გამოხდომების გამო, რომლებიც ინდოეთისაგან პენჯაბის გამოყოფისა და მის ტერიტორიაზე ეგრეთ წოდებული „სიქხთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს — ხალისტანის" შექმნისათვის იბრძვიან. თითქმის ყოველდღე პენჯაბის ქალაქებში ისმის სროლა, ფეთქდება ბომბები, ხდება შეტაკებანი რელიგიურ-თემობრივ ნიადაგზე.

ინდოეთის სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, საზოგადოებრიობას და პრესას მრავალჯერ აღუნიშნავს, რომ ექსტრემისტთა საქმიანობას პენჯაბში წარმართავენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და პაკისტანის სპეცსამსახურები.

ჩვენი სუპერტურნირი

ხვალ, 21 აპრილს, თბილისის ჭადრაკის სასახლეში იხსნება მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო ბოლო წლების, არამედ საერთოდ ჭადრაკის ისტორიაში. არაერთი საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრება იმართება, მაგრამ მათში მსოფლიოს ყველა წამყვანი მოჭადრაკის თავმოყრა ვერა და ვერ ხერხდება და ის, რაც მრავალგზისი ცდის მიუხედავად აქამდე ვერ გაკეთდა, ახლა, რა თქმა უნდა, ზოგი გამონაკლისის გარდა, თბილისში ხორციელდება.

დავიწყოთ მასპინძლებით. როცა ტურნირში მსოფლიო ჩემპიონი მონაწილეობს, ეს საჭადრაკო საზოგადოებისათვის უკვე დიდი მოვლენაა. ამასთან, არც ისე შორს არის მატჩი მსოფლიო პირველობაზე და მაია ჩიბურდანიძისათვის, უდავოდ, სასარგებლოა ძალის შემოწმება სწორედ უძლიერეს მოწინააღმდეგეებთან. მსოფლიო ჩემპიონი, თუ დელის (ინდოეთი) ქალთა საერთაშორისო ტურნირის მიხედვით ვიმსჯელებთ, ახლა საუკეთესოდ არის მომზადებული, თბილისის სუპერტურნირს კი მისთვის გენერალური რეპეტიციის მნიშვნელობა ექნება.

წლეულს მსოფლიო პირველობის მატჩია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ შემდეგი ასეთი მატჩი უკვე 1986 წელს გაიმართება! რადგან საქართველოს 5 საუკეთესო დიდოსტატს ამ მატჩში მონაწილეობის მეტ-ნაკლები პრეტენზია აქვს, გასაგებია, რომ ახლანდელ ტურნირს მათთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ნონა გაფრინდაშვილმა გასული წლის მიწურულს მეთხეთ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, იანვარში კი მეორე-მესამე ადგილები გაიყო ოაიცეს (იუგოსლავია) საერთაშორისო შეჯიბრებაზე. მას დასვენებისა და სუპერტურნირისათვის მომზადების საშუალება ჰქონდა, იგივე ითქმის ნანა ალექსანდრიაზეც, რომლის თამაშიც, ნონასი არ იყოს, ოაიცეში დაღლილობის კვალი აჩნდა. გასაგები მიზეზების გამო ნანა იოსელიანი დამარცხდა პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში, მაგრამ მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, ქართველმა მოჭადრაკემ აღიდგინა ჩვეული ძალა. ამ დღეებში კი პირველი ადგილი მოიპოვა მოსკოვის საკმაოდ ძლიერი შემადგენლობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. ასევე, ელენე ახმილოვსკაიამაც და ნინო გურიელმაც ამ დღეებში დაასრულეს თამაში იერის (საფრანგეთი) საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირში, სადაც ახმილოვსკაიას პირველი პრიზი ხვდა წილად, გურიელს კი მეორე. თუ ყველა ამ ჩამოთვლილ დიდოსტატს თბილისის ტურნირში საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა აინტერესებს, საერთაშორისო ოსტატ თამარ ხუგაშვილის წინაშე სხვა ამოცანაა. მას საშუალება ეძლევა იბრძოლოს დიდოსტატის ბალის მოსაპოვებლად. ხუგაშვილი ფრიად ორიგინალური სტილის მოჭადრაკეა და როცა სათანადო აღმაფრენა აქვს, ყველასათვის სახიფათო ხდება. ვუსურვოთ მას დასახული მიზნის შესრულება.

